ტფილისი

№ 3. 5 იანვარი, ხუთშაბათი. 1866–1884 5 იანვარი, ხუთშაბათი. № 3.

რედაქცია
სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი
მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ უნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა
ამ 1884 წლისათვის გაზეთს
## დროებაზედ
(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.
თელავში, ვანო როსტომაშვილთან.
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.
ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.
გორში, საზოგადოების დეპოში, ალ. ალ. თუთაევთან.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| წლით (12 თვით) | — — 9 მან. | 6 თვით | — — 5 მან. |
| 11 თვით | — — 8 მ. და 50 კ. | 5 თვით | — — 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით | — — 8 მან. | 4 თვით | — — 4 მან. |
| 9 თვით | — — 7 მ. და 50 კ. | 3 თვით | — — 3 მან. |
| 8 თვით | — — 7 მან. | 2 თვით | — — 2 მან. |
| 7 თვით | — — 6 მან. | 1 თვით | — — 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.
ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

არწრუნის თეატრი.
კვირას, 8 იანვარს
ბენეფისი
ნ. მ. თომაშვილისა
ქართული დრამატიული დასის ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება
I
პირველად
**სევილიელი დალაქი**
ანუ
ამაო გაფრთხილება
კომედია 4 მოქმედ. ბ. ბომარშესი, თარგმან. ფრანცუზ. დ. ყიფიანისა.
II
დილა ქორწილის შემდეგ
ვოდევილი 1 მოქმ. ბ. მოჩხუბარიძისა.
III
დივერტისმენტი
ლეკური, ჩეჩნური, აბხაზური, მეგრული და კინტოური.
დასაწყისი 8 საათზედ. (3—1)

## მახდი და ინგლისელები

თბილისი, 5 იანვარს.

ტელეგრამებმა არაფრად სანუგეშო ამბავი მოგვიტანეს ინგლისელებისათვის. გამარჯვებული მახდი დაძრულა სუდანიდამ ფანატიზმოთი გახელებული ჯარით და მოისწრაფის იმ ქვეყნებისკენ, სადაც ესრედ წოდებულს «ცივილიზაციას» ცოტათი მაინცა აქვს ფესვი გადგმული. ინგლისს საკუთარი ჯარი ეგვიპტეში მხოლოდ 6000 კაცი ჰყავს, დანარჩენი შესდგება მოსლემინებისაგან, რომელთაც გული უფრო მახდისაკენ მიუწევთ და რომელნიც მხოლოდ გარეგნობით აჩვენებენ ინგლისელებს ერთგულად თავს იმ დრომდე, ვიდრე ძალას იგრძნობდენ და თავიანთ დამმონავებელს წინაალმდეგობას გაუბედავდენ. ინგლისელებს დაუცლიათ კიდეც ხარტუმი და ყოველივე სამხედრო იარაღი, ან თოფის-წამალი, რისიც წამოღება ვერ შესძლებიათ, გაუფუჭებიათ, ან წყალში გადაუყრიათ; აჯანყებულები მოახლოვებიან ამ ქალაქს და მის ახლო მდებარე სოფლები ცეცხლით გადუბუგავთ და აუოხრებიათ...

ინგლისელებმა რაკი უკან დაიწიეს, ეს სწორედ იმის ნიშანია, რომ საქმე კარგად ვერ მიდის, და რომ ეხლა მახდი საშინელს მოპირდაპირეს წარმოადგენს ინგლისელებისათვის,—ეს საეჭვო აღარ არის. რას იზამს და როგორ გაუძლებს ინგლისი თავის 6000 კაცით მოზღვავებულს ჯარს და იმ ხალხს, რომელსაც სულით და გულით აჯანყებულის მხარე უჭირავს. მახდი უხდის ინგლისელებს ამ უკანასკნელთა გამარჯვებას არაბი-ფაშაზე, და თუ საქმე ასე წავიდა, იქნება ასე ცოტათი არ დასჯერდეს და კვალი აჯანყებისა მთელს ინდოეთსაც გაავლოს.

თქმა არ უნდა, რომ მახდი ამდენს მომხრეებს ვერ იშოვიდა და მოსლემინობაც ასე მალე არ აღიარებდა მას წინასწარმეტყველად, თუ ინგლისისაგან ეგვიპტეში შეტანილს ცივილიზაციას მართლა კაცთ-მოყვარეობა და სამართლიანი წყობილების გავრცელება ჰქონოდა სახეში და არა ზოგიერთა უგულო მოვაჭრეებისა და ფულის პატრონების სარგებლობა. ინგლისმა დაიპყრო ეგვიპტე მითომ იმ განზრახვით, რომ მშვიდობიანობა და განათლება დაემყარებინა, მაგრამ წადილი კი სულ სხვა ჰქონდა და ეხლა ამ წადილისათვის მან პასუხი უნდა აგოს ძლიერის მახდისა და უკმაყოფილო ხალხის წინაშე. რაც უყო ინდოეთს ინგლისმა, როგორც იქ გამოსწოვა ტვინი ამ მდიდარსა და უხვს ქვეყანას, ისე აქაც უნდოდა ემოქმედნა, მაგრამ კოკა ყოველთვის წყალს ვერა ზიდავს და ერთისა და იმავე საშუალების ხმარება ყოველთვის არ გამოდგება.

ძნელია კაცმა სთქვას, თუ რა შედეგი მოჰყვება ამ ორთა ელემენტთა შორის უწყალო ბრძოლას: ცალ მხარეს იბძვიან ევროპიელნი, რომელთა გამარჯვება ნიშანი იქნება ეგვიპტის უმეტესად დამონავებისა; მეორე მხარეს გაფანატიკებული მოსლემინები, რომელნიც თავიანთ გამარჯვებით მაინცა და მაინც დიდ ბედნიერებას არ შეჰყრიან ეგვიპტეს, ამ უძველესს ქვეყანას, რომელიც ბოლოს დროს სისხლის კალოდ გადაქცეულა და რომლისაც ხელოვნებით ნაშენი პირამიდები მაღლიდამ დასცქერიან ადამიანების ნათესავთაგან ერთი-ერთმანეთის გაჟლეტას.

## შინაური ქრონიკა

«ახალს მიმოხილვას» შეუტყვია, რომ კომისიისაგან შემუშავებული პროექტი შესახებ სარწყავის წყლით სარგებლობისა კავკასიის აქეთა მხარეს მოსწონებია მთავარ-მმართებლის რჩევას და პეტერბურგში წარუდგენია კანონად აღიარებისათვის.

იგივე გაზეთი ამბობს, რომ ახლად არჩეულს თბილისის საბჭოს სეკრეტარს ბ. ჭანანოვს უარი უთქვამს თავის თანამდებობაზე იმ მიზეზით, რომ ვითომ საბჭოს მეტად აჩქარებით გაესინჯოს ქალაქის შემოსავალ-გასავალი 1884 წლისა და ვითომ ქალაქის თავს უმართებულოდ მიეგოს პასუხი ერთის ხმოსანისათვის. ახალი გაზეთი თუმცა თითქო აქებს ბ. ჭანანოვის მოქმედებას, მაგრამ თან უმატებს, რომ ეტყობა ბ. ჭანანოვმა არ იცოდა როგორ განსაზღრულია მისი უფლება და მოვალეობა, ე. ი. ჩვენებურად რომ ვთქვათ,—იმის საქმე არ იყო და თავის ქერქში უნდა ყოფილიყო. თუმცა ბ. ჭანანოვისაგან მიზეზების დასახელება მეტიჩრობასა ჰგავს, მაგრამ ამისათვის არავინ არ უნდა გაიკიცხოს, თუ კი არ მოინდომებს იმისთანა დაწესებულებაში სამსახურს, სადაც სხვის აზრებისადმი პატივისცემა ძალსა და რბილში არა აქვთ გამჯდარი.

ქალაქის საბჭომ ორის იანვრის სხდომაზედ გადასწყვიტა მიიღოს დათხოვნის ქაღალდი ბ. ჭანანოვისა და სეკრეტრობისაგან გაანთავისუფლოს.

იმავე გაზეთს სთხოვენ გამოაცხადოს, რომ კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზის ვაგონების გასათბობლად შეკვეთილი აპარატები უკვე მოსულა ბათუმში ნოვოსელსკის ცეცხლის გემით და აქედამ თბილისშიც მალე მოიტანენ. 3 იანვრიდგან დაიწყებენ ფეჩების დადგმას ყველა კლასის ვაგონებში.

კავკასიის სამეურნო საზოგადოებაში 3-ს იანვარს მომხდარი სხდომა იყო აგრეთვე საინტერესო, როგორც პირველი და უმეტესობა იმ აზრს ადგა, რომ გაადვილონ წვრილი წარმოება არყისა ხილისა და ჭაჭა-თხლისაგან. ამ აზრისანი იყვნენ თითქმის ყველანი, გარდა აქციზის მოხელეებისა. ამ საგანზედ ამ დღეებში ვრცლად მოველაპარაკებით მკითხველებს.

ის ყმაწვილები, რომელნიც ფულის შეუტანებლობის გამო იყვნენ გამორიცხულნი მეორე კლასიკური გიმნაზიიდამ, მიიღებიან გიმნაზიაშივე, რადგან კერძო პირთა შეწირულობის გარდა, 28 დეკემბერს მათ სასარგებლოდ გამართული ბალიდამ შემოსულა წმინდა შემოსავალი 522 მან. 35 კ. («კავკაზი»).

ერთს საზარელს ამბავსა გვწერენ დაბა ზოდიდამ (შორაპნის მაზრა): «გლეხს ზ. ს—შვილს ცოლი ჰკუიდამ შეშლია და საექიმოდ მოუყვანიათ ბ. მ—ძე. მისულა თუ არა აღნიშნულ გლეხისას ექიმი, დაურწმუნებია ქმარი, შენს ცოლს კუდიანები გადაჰკიდებიანო. გლეხს მიუცია სრული ნება, რაც გენებოს, ისა ჰქმენი—ოღონდ მოარჩინეო. ექიმს ბ. მირ—ძეს თოკით შეუკრავს ჭკუა-შეშლილი დედა-კაცი, დაუკიდნია მაღლა, დაბლიდამ ცეცხლი შეუკეთებია და ისე დაუტანჯავს. «გამოტყდი, გამოტყდი», —იძახდა თურმე ექიმი. დედა-კაცს ბევრი უკივლია, მაგრამ მაშველი ვინა ჰყავნდა. ბოლოს ექიმს, რაკი ამით ვერას გამხდარა, საცოდავი დედა-კაცი ჩამოუგდია ძირსა, გაუხურვებია ცხენის ნალი და რამდენჯერმე კოჭის ზემო ძარღვებთან დაუკრავს. დედაკაცი სიკვდილამდე მიწურულა. ქმარი მისულა მღვდელთან ალ. ჯაფ—თან და ზეთის კურთხევა უთხოვნია! «ცოლი მიკვდება და მიშველეო»! მღვდელს შეუსრულებია ამ გლეხის თხოვნა, მაგრამ მისვლისათანავე გამოუკითხავს მიზეზი დედა-კაცის ავად-მყოფობისა და, როდესაც გაუგია საბრალოს ტანჯვის მიზეზი, იმ საათშივე საგლეხო სასამართლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში განუცხადებია ეს გარემოება. მამასახლისის მოადგილე თავის მწერლით გაქანებულან ნამდვილის შესატყობლად გლეხისას და შეტყობის შემდეგ შეუდგენიათ განჩინება და პოლიციის პრისტავისთვის წარუდგენიათ.

რა თქმა უნდა, რომ ამისთანა ავკაცობას რიგიანი გამოძიება ეკადრება.

≈≈ **ქუთაისიდამ გვწერენ:** «ოთხი თვეა, რაც ყველასაგან პატივცემული მოძღვარი კათოლიკებისა იოანე ანტონოვი მოშორდა თავის სამწყსოს ახალი თანამდებობის მიღების გამო. იმ ს ადგილას დანიშნეს პატრი მსხანოვი, ჩამომავლობით ქართველი. ამ მოძღვარმა განსაკუთრებული ყურადღება თავის მრევლის განათლებას უნდა მიაქციოს. სწავლის სურვილი დიდია აღძრული კათოლიკეთა შორის. ასიოდე კათოლიკე ქალნი და ვაჟნი სწავლობენ ქუთაისის საშუალო სასწავლებლებში. ოთხმოცამდე ყმაწვილნიც კათოლიკეთა სკოლებში იზდებიან, მაგრამ ამ მოსწავლეთა ბოლო სანუგეშო არ იქნება, თუ გულის შემატკივარი და გაჭირების დროს ხელის შემწყობი არავინ ეყოლებათ. არა ნაკლებ საყურადღებო საგანია მოძღვრისათვის სამრევლო სკოლების წარმატება და ვიმედოვნებთ, რომ პატრი სტეფანე მსხანოვი მიაქცევს ყურადღებას და კეთილად აღასრულებს თავის მძიმე ვალდებულებას».

≈≈ **პალატამ გაათავაო,** ამბობს «ახალი მიმოხილვა», გაკოტრებული ჯანჯულაზოვების საქმე. რეზოლიუციას გამოაცხადებენ 5 იანვარს, მანამდის კი თითონ გაკოტრებულნი გამოუყვანია პალატას ციხიდგან და დრომდის შინაურულად ჰყავს იგინი დამწყვდეული.

≈≈ **იმავე გაზეთსა სწერენ,** რომ ფასანაურში მეტად ავი ყვავილი გაჩენილა და რამდენსამე დღეს მოუკლავს ორი დიდი ადამიანი და ერთიც ბავშვი.

≈≈ **ჩვენ შევიტყეთ,** რომ ქალაქის გამგეობის განზრახვას ყასაბხანის გადატანაზედ, რომელზედაც ჩვენა გვქონდა ბაასი ამას წინედ, უმოქმედნია ბბ. ამიროვზე, ბარხუდაროვებზე და მუხრანსკიზედ. სხვათა შორის, ამბობენ, რომ თ. მუხრანსკის გადაუწყვეტნია შეუდგეს თავისის ადგილის მოვლასა და განწყობას ისე, როგორც შეჰფერის სინიდისიერს პატრონს ასეთი ძვირფასი მამულისას, როგორიც არის მისი საკუთრება სოლდათის ბაზარში. ბაზაფხულიდგან აპირობს აშალოს სამარცხვინო ალაჩუხები, რომელნიც მას დიდს შემოსავალს აძლევენ, და მათ ადგილზეააშენოს ნამდვილი სადუქნო ნომრები, გაიყვანოს მილებით წყალი, ქუჩის გასატანად, გამართოს სარდაფები, გაუკეთოს ყველა დუქანს ასფალტის იატაკი და კედლები, შებას მათ რიგიანი კარებები, გააწმენდინოს თავისი მშვენიერი და ვრცელი ეზო. თუ ეს საამური ამბავი მართალი გამოდგა, უეჭველია, ქალაქის გამგეობა დაანებებს თავს ყასაბხანის სხვაგან გადატანას. გამგეობას კიდეც იამება, რადგან მას არა აქვს ისეთი სანთი და სახერხო ადგილი, როგორიც არის თ. მუხრანსკის მამული ივრმუკაში. გამგეობა უფრო ხელსაც შეუწყობს ბედნიერს მუხრანსკის, ყველა ყასბებს მოაქცევს იმის სადგურში და აჰყრის სხვა შენობებიდამ, თუ უკანასკნელთა პატრონები განაგრძნობენ ეხლანდელ უზრუნველობას თავიანთ ქუჩყიან ალაჩუხებზე. ძალიან მოხარულნი ვიქნებით, თუ ეს ხმა მართალი გამოდგა და ტფილისის ყასაბხანა არ იქნება დღევანდელივით უპატრონოდ აყროლებულს ტალახში.

≈≈ «მწყემსში» ვკითხულობთ შემდეგს საყურადღებო ამბავს: «სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველნი ვალდებულნი არიან კვირაში ექვსი გაკვეთილი უფასოდ აძლიონ, მაგრამ ზოგიერთნი ამ უფასო გაკვეთილებს თავიდამ იშორებენ, სხვა მასწავლებლებს ახვევენ თავზე, ამისათვის **500-600** მანათამდე მეტს ახარჯვინებენ სამღვდელოებას და შემდეგ მაინც იღებენ ფასიან გაკვეთილებს. ზოგნი ამასაც არა სჯერდებიან და ხარბობით სხვა გარეშე თანამდებობის ასრულებასაც კი კისრულობენ».

---

## წერილი ქალაქ ქუთაისის მოკენჭეთადმი.

მეზობელნო!

მომავალ იანვრის თვეში ჩვენის ქალაქის ხმოსნების ამორჩევაა ოთხის წლის ვადით. მათ უნდა ჩავაბაროთ ამ კარგა ხანგრძლივს დროს ყოველი ბედი და უბედურება ჩვენის ბედკრულის ქალაქისა. ჩვენ უნდა ამოვირჩიოთ კეთილ-სინდისიანნი, გამოცდილნი და მიუდგომელნი პირნი მომავლისათვის, თორემ ყოვლის ფრით ბუნებისაგან შემკობილ ქუთაისს წვიმაში ტალახი აწუხებს და დარში საშინელი მტვერი და ეს ყველა ამ ჟამამდე არ იქნებოდა, თუ ჩვენს ქალაქს უფრო გულ-შემატკივარი მზრუნველები ეყოლებოდა.

ეხლანდელ ხმოსანთადმი კი ბევრი სასაყვედურო გვაქვს, მაგ., ყველა ქუთაისის მამულის-პატრონებს ახსოვსთ, რომ ამ **1883** წელს ქალაქის გამგეობამ სამოქალაქო გადასახადი მანეთში 10-კაპეიკით მეტი გარდაგვახდევინა გზების შესაკეთებლად და მოსავლელად,—მაგრამ ქალაქის დახლი ისე სუსტად გახლავთ, რომ ეს მომეტებული ხარჯი სხვა საჭიროებას მოხმარდა და გზების შეკეთებასა და მოვლას კი არა.

ამას გარდა 54 ხმოსანში 10-ს ვერ ნახავთ, რომ ათ სხდომაზე ერთი-ერთმანეთზე დასწრებოდეს, და 20-ს ვერ ნახავთ, რომ საფუძვლიანად ქალაქის საქმეებზე ელაპარაკნოთ და რაიმე ახალი თავიანთი აზრი შეეტანოთ რჩევაში.

აი კიდევ დაუდევრობის მაგალითი: ჩვენს საწყალ ქალაქს საიდგანღაც გამოუგლეჯია თავის ხარჯებისათვის—ეს შვიდი წელიწადია--ორას-ორასი მანეთი და დღემდის უძლევია ერთი ვიღაც ურიჭო ბავშვის შესანახავად ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში, ესე იგი, 1,400 მანეთი მიუცია შვიდი წლის განმავლობაში; სასწავლებლის დირექციას მერვე წლისათვის აღარ დაუყენებია ეს ბავშვი და გამოურიცხავს. მკითხველს ეგონება მეხუთე ან მეექვსე კლასიდან იქმნებოდაო,—არა, გამოურიცხავს პირველი კლასიდან?! მასუკან ამ საქმის თაობაზედ დაუნიშნავთ კომისია ბ. ი. ს. მესხის თავმჯდომარეობით და მიუნდვიათ შეტყობა—ვინ უფრო ღარიბი და ღირსი იქმნება, რომ ეხლა იმას გამლიოთ ეს ფული გამოსაზრდელადაო. კომისიას სამართლიანად გადაუწყვეტია: რად გამლევთ ამ 200 მანეთს ერთს, მივცეთ ოთხ ღარიბ ქალს, რომელთათვისაც ხუთ-ხუთი თუმანი დიდი შეღავათი იქნებაო. მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ამ ოთხში ორი ხმოსნის ქალი მიიღეს და უღარიბესი და უნიჭიერესი კი უკან დააყენეს...

აი ამ გვარი ხმოსნები და მმართველები, გუშინ და დღეის შემდეგ თუ უკეთესები გვეყოლება, ეს თქვენი სინიდისისა და გამჭრიახობის ბრალი იქმნება.

ჩვენს ქალაქს ბევრი რამ ეჭირვება: ქუჩების სიწმინდე და განათება, ქალაქში ხორაგეულის რიგიანობა და იაფობა, პურის ფქვილის უმანკოდ გაყიდვა ესე იგი, მჭადის და თეთრი ლობიოს გაურევლად, ქალაქის მიწების და შენობის რიგიანად მოვლა, ფერმის მართლა ფერმად გადაქცევა, შემოსავლის რიგიანად დახარჯვა და უმთავრესად კვიტანციის წიგნების რიგიან წრეზედ დაყენება, რომ ერთი გადასახადი მეორედ აღარ გარდიხადოს მცხოვრებლებმა და სხვა-და-სხვა.

ღმერთმა ჰქნას, რომ მომავალ ხმოსანთა ამ საგნებს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

ერთი ამომრჩეველთაგანი.

---

## მგზავრის ფიქრები

ამას წინად ვიჯექ რკინის გზით მატარებელში და მოვეშურებოდი საქართველოდგან ჩემ დროებით სამყოფ პეტერბურგს. ეს მოგზაურობა მომიხდა მე ზამთარში—იმ დროს, როდესაც გარშემო, მთელი არე-მარე თეთრად არის გადაკრული და როდესაც თვალს თოვლის მეტი სხვა გასართობი მასალა არა აქვს-რა. ამის გამო, ნება-უნებლიეთ, მეც სხვა-და-სხვა ფიქრებმა გამიტაცეს. ღმერთო ჩემო, რა განსხვავება ჰქონია იმ კაცის ფიქრებს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მიდის იმავე კაცის ფიქრებთან, რომელიც იქიდამ ბრუნდება. რასაკვირველია, მე ვამბობ, ჩვენი მამულის შვილებზედ და არა უცხო პირებზედ, რომელნიც დროებით მოდიან ჩვენი ქვეყნის გასაშინჯავად და დროს გასატარებლად, და არც სხვა უცხო პირებზედ და ვაჭარ ხალხზედ...

როდესაც ჩვენი უმაწვილი კაცი თავის სამშობლოსკენ მიდის, მისი არსება სავსეა სხვა-და-სხვა იმედიანი ფიქრებით. ის გრძნობს ამ ფიქრების გამო რაღაც გამოუთქმელს სიამოვნებას. მას ჰგონია და გულში ამბობს: მივალ თუ არა სამშობლოში, მაშინვე შევუდგები ჩემს საქმეს, შრომას, მუშაობას და ცხოვრებაში გამოვიყენებ იმ აზრებს, რა აზრებიც უცხო ქვეყანაში შევიძინე. ამით მეც ვისარგებლებ და ჩემ... სამშობლო ქვეყანასაც ვასარგებლებო. მასა აქვს იმედი ამ გვარივე აზრის დასი ანუ წრე ნახოს თავის ქვეყანაში, მისცეს მათ მხარი და შეუდგნენ თანხმობით ერთად, მმურად თავის და ქვეყნის ცხოვრების გაუმჯობესობას. აი რა ფიქრებით არის ხოლმე სავსე ყოველი ნამდვილი მამულის-შვილი, თავის ქვეყნისკენ მიმავალი. რასაკვირველია, ის სიამოვნებით და მხიარულად მიემგზავრება შინისაკენ, ჩქარობს, რაც შეიძლება, მალე მივიდეს ბინაზედ. სთვლის დღეებს, საათებს, რომელიც მას რჩება. რამდენიც უახლოვდება თავის ქვეყანას, იმდენი უფრო და უფრო ეშურება ჩქარა მისვლას.

ბოლოს მივიდა. პირველში ყველა უცნის, ყველანი სიყვარულით და ალერსიანად ემუსაიფებიან, ბევრნი აქეთ-იქით პატიჟობენ კიდევ, თუ, რასაკვირველია, ნაცნობები ბლომად ჰყავს. გადის რამდენიმე დღე, დრო, ხანი; ბოლოს ჩვენს ახალ მოსულს უნდა ჩადგეს ცხოვრებაში, უნდა გამოიყენოს საქმით ერთი იმ სასიამოვნო ფიქრთაგანი, რომლითაც ის სავსე იყო გზაში მოსული, მაგრამ საითაც გაიწევს, ყველგან გადაღობილ გზასა ხედავს, ვერსად ვერ ჰპოულობს იმას, რაც უწინ გულში ედო. აკვირდება ჩვენს ცხოვრებას... და რა გასაკვირველია, რომ ამ გვარ ჩვენ ქვეყნის შვილს, თუ კი მოუხდა სამშობლოდგან რაიმე მიზეზის გამო ისევ დაბრუნება, სულ სხვა შავი ფიქრებით წამოვა იქიდგან. მას აღარ უდგავის გულში ის იმედიანი გრძნობა და ფიქრები, რომლებითაც სავსე იყო მისი გული სამშობლოსკენ მიმავალი.

ვიცი, ჩემო მკითხველო, ამ გვარი სამწუხარო წერილები ბევრისთვის უსიამოვნოა, მაგრამ რა გაეწყობა. ნათქვამია—მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო, და მართლადაც, თუ ჩვენ თითონ ერთმანერთს არ დავანახვეთ ჩვენი ნაკლულევანება, არ შევატყობინეთ რა სენითაც ვართ ავად და წამალი რამ არ მოვნახეთ, ძნელია ამ მდგომარეობიდგან გამოსვლა. თითქო ჩვენი ქვეყანა და მისი მცხოვრებნი მკვდრთაგანნი! ნაქებნი ყოფილან ყოველ გვარ კეთილ საქმეში და სულდიდობაში,—ეხლა რაღა დაგვემართა? ნუ თუ ისე დავზარმაცდით და დავუძლურდით, რომ ვინც რა უნდა სწეროს ჩვენს ცხოვრებაზედ და მის გაუმჯობესობაზედ, აღარა გვაქვს სურვილი ყური გათხოვოთ? ნუ თუ დავკარგეთ უკანასკნელი ძალა ჩვენის ჭკუისა და „მოაზრებისა, რომ ცოტაც არის დავაკვირდეთ და დავანახოთ, რა მდგომარეობაში ვართ და ან რა მოგველის? მე მსურს, როგორც ერთ მამულის გულ-შემატკივარს მოველაპარაკოთ, ჩემო მკითხველო, დანარჩენ წერილებში იმ ზოგიერთ ჩვენის ცხოვრების სენზედ, რომელიც აღატაკებს და აუძლურებს... ჩვენს ქვეყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნას. ამასთანავე გვცდები, რაც და როგორც კი მოვლეჯა ჩემგან ნაჩვენებ სენს, იმაზედაც გაგიზიარო ჩემი აზრები. მაშ ნახვამდის მეორე წერილამდის.

დროებითი პეტერბურგელი.

17 დეკემბერს 1883 წ.
ს. პეტერბურგი.

## რუსეთი

— გერმანიის იმპერატორმა და სხვა გვირგვინოსნებმა ტელეგრაფით და თავიანთ წარმომადგენელთა საშუალებით პეტერბურღის კარის წინაშე გამოუცხადეს მის იმპერატორებითი დიდებულებას, ხელმწიფე იმპერატორს, გულითადი მწუხარება 28 ნოემბერს ნადირობის დროს მომხდარ შემთხვევის გამო, და ისურვებენ მის დიდებულებისათვის სრულს და ჩქარს მორჩენას. ხელმწიფეს ექიმობს ლეიბ-ხირურგი გუსტავ გირში.

— ამას წინად ტელეგრაფმა გვაცნობა, რომ პეტერბურგში გონჩარნის ქუჩაზე ერთს სადგომში ვიღაცებს მოუკლავთ ჟანდარმის პოდპოლკოვნიკი სუდეიკინი და სასიკვდილოდ დაუჭრიათ სუდეიკინის მხლებელი მოხელე. ტელეგრაფის ცნობაში ერთი შეცდომა შეპარულა: როგორც რუსული გაზეთი «Эхо» გვაცნობებს, სუდეიკინი მოუკლავთ გონჩარნის ქუჩაზე კი არა, არამედ ნევის პროსპექტზე (სახლის № 91, სადგომისა—16)...

19-ს დეკემბერს, განსვენებულის მოსახსენებლად, გარდაიხადეს პანაშვიდი მარიინის საავადმყოფოს ეკლესიაში; პანაშვიდზე დაესწრენ ქალაქის უფროსი გენერალი გრესერი და სუდეიკინის ნაცნობები და ამხანაგები. ეკლესია შემკული იყო ვარდებით, კუბოსთან იდგა სუდეიკინი ქვრივი და მწარედ სტიროდა. საავადმყოფოდგან სუდეიკინი წაასვენეს ნიკოლაევის ვოკზალზე; კუბო მიჰქონდათ პოლიციის ოფიცრებს; სხვა წარჩინებულთა პირთა გარდა კუბოს მოჰყვებოდა იუსტიციის მინისტრიც. ქუჩებში იდგა აურებელი ხალხი, რომელიც შესცქეროდა სუდეიკინის გამოსვენებას.

სუდეიკინის ქვრივს მმართებლობამ დაუნიშნა ხუთი ათასი მანეთი წლიური პენსია სიკვდილამდე, როგორც დამსახურებული და უდროვოდ მოკლული კაცის ცოლს.

— რუსული სასამართლო ქრონიკა ამ უკანასკნელს დროს წარმოგვიდგენს ზოგიერთა ფრიად საინტერესო საქმეებს, რომლებმაც საფუძვლიანად მიიზიდეს მთელი საზოგადოებისა და მწერლობის ყურადღება; ამ ჟამად თითქმის ყველა რუსული გაზეთები ლაპარაკობენ, მცხარეთ ბაასობენ, ზოგი-წინააღმდეგ სასამართლოსი და დამნაშავეთა, ზოგი კი იცავენ სამართლის პრინციპს და იმ ფორმას სამართლისას, რომელსაც ჰქვიან ნაფიცთა სამართალი და რომელიც, ვითარცა საუკეთესო ფორმა სამართლისა, რუსეთში შემოიღო განსვენებულმა ხელმწიფე იმპერატორმა, ალექსანდრე მეორემ. ესრეთი ალიაქოთი გამოიწვიეს მელნიცკის და სვირიდოვის საქმეებმა, რომლებიც წარმოადგენენ უსამზღვრო და უსინდისო ცარცვას საზოგადო ქონებისა, სხვისი საკუთრებისა; მელნიცკიმ მოითვისა 307,000 მან. ფული — საკუთრება ბავშვების აღმზრდელი დაწესებულებისა, და გამოაცხადა, ვითომც ფული დაეკარგა გზაზე, როცა სახელმწიფო ბანკიდგან მოჰქონდა; ამ საქმის გამოძიება ერთობ გაძნელდა, რადგანაც მელნიცკის თავიდამვე მოხერხებულად დაეწყო საქმე, მაგრამ გამოძიებამ და სასამართლომ კვალში ჩასდიეს მელნიცკის; მელნიცკის დაუმტკიცეს განძრახვით საზოგადო ფულის დასაკუთრება და ამისათვის დასჯილ იქმნა კანონისამებრ. ამ ჟამად განიხილა მელნიცკის საქმის მეორე ნაწილი; ფულები, რომლებიც მოხუცს მელნიცკის დაესაკუთრა. დამნაშავემ გარდასცა დასამალავად თავის შვილს, და ამ უკანასკნელმა ზოგიერთა ნაცნობების და ნათესავების შემწეობით მოპარული ფულის კარგი მალი ნაწილი დამალა. ყოველივე ესე აღმოჩნდა და მელნიცკი შვილით ნათესავებით და ნაცნობებითურთ გასამართლებულ იქმნა ამ მოკლეს ხანში; ნაფიცთა სამართალმა გაამართლა დამნაშავეები.

მეორე საქმე—სვირიდოვისა—მოხდა კიევში. სვირიდოვი კიევში ცნობილი იყო როგორც პატიოსანი, კეთილი და გულ-უხვი კაცი, გარდა ამისა მას იცნობდნენ როგორც ღვთისნიერს კაცს; სვირიდოვი კარგა მალს უთავსწრობდა საქველ-მოქმედო საქმეებზე და ამისათვის საზოგადოებას იგი ძალიან უყვარდა. სვირიდოვი ერთსა და იმავე დროს მსახურებდა თვრამეტს ადგილზე, მაგრამ ერთს დღეს გამოაშკარავდა, რომ ღვთისნიერს და ქველ-მოქმედს სვირიდოვს შემოუხარჯავს 264,000 მანეთი კიევის ურთიერთ შორის კრედიტის საზოგადოებისა. მას აქეთ წელიწად ნახევარი გავიდა, სვირიდოვი მხოლოდ ეხლა გამართლეს და ისიც გაამართლა «ნაფიცთა სამართალმა». ჯერ-ჯერობით სვირიდოვის საქმე დაბეჭდილი არ არის, და ამისათვის ძნელი სათქმელია, თუ რისთვის შეიწყნარა ნაფიცთა სამართალმა სვირიდოვი.

აი, ამ ორმა საქმემ, ე. ი. მელნიცკების და სვირიდოვის გამართლებამ გამოიწვია ცხარე ბაასი მწერლობაში, ზოგი გაზეთები ძლიერ აუღელვებია დამტკიცებული და უსინდისო ქურდების გამართლებას: ისინი გულ-მოდგინეთ კიცხავენ «ნაფიცთა სამართალს». ზოგნი მაგვარნი «ნაფიცთა სამართალს» ჰპოვებენ მავნე დაწესებულებად და იბრძვიან მის წინააღმდეგ, ზოგნი კი სრულიად სამართლიანად იცავენ «ნაფიცთა სამართალს» და ჰპოვებენ მას საუკეთესო ფორმად სამართლისას. მართლადაც უნდა ვსთქვათ, რომ «ნაფიცთა სამართლის «მოწინააღმდეგენი ეძებენ ყოველს შემთხვევას, რათა შესაძლებელია მისი გაქელვა. ამის თაობაზე ერთი რუსული გაზეთი ამბობს შემდეგს: «ნაფიცთა სამართლის მოწინააღმდეგენი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, როცა «ნაფიცთა სამართალი» ამართლებს ნამდვილს დამნაშავეს, რომლის მოქმედება უკვე გამოკვლეულია. ამ გვარი საქმეებით ისინი სარგებლობენ «ნაფიცთა სამართლის» წინააღმდეგ და ზოგიერთა დამნაშავეების გამართლებისა გამო ამტკიცებენ «ნაფიცთა სამართლის» უვარგისობას, იმ შემთხვევებს კი, როცა «ნაფიცთა სამართალი» ამტყუნებს დამნაშავეთა, სრულიად არ აქცევენ ყურადღებას და ამ ნაირად თვალს უხვევენ საზოგადოებას». იგივე გაზეთი განაგრძობს: «განათლებულს კაცობრიობას ჯერ არ შეუმუშავებია ქრისტიანობისა და განათლების უფრო შესადარი ფორმა სამართლისა, ვინემ «ნაფიცთა სამართალია». არც ერთს ფილოსოფოსს, არც ერთს მეცნიერს ჯერ, ისეთი არა მოუგონია რა, რასაც შეემლოს «ნაფიცთა სამართლის მაგივრობა კანონისა და საზოგადო» ზნეობისათვის უვნებლად. «ნაფიცთა სამართალი» მხოლოდ საზოგადო სინიდისის სამართალია და შეადგენს ნაყოფს რომელიმე საზოგადოების სინიდისის, თუ საზოგადო სინიდისი დახშულია, თუ საზოგადოების შეხედულობა ავსა და კარგზე გარყვნილია, მაშინ უნდა მოჰკითხოთ თვით საზოგადოებას და არა მის წევრთა, რომლებიც ემორჩილებიან დროების და საზოგადოების გარყვნილობას. საზოგადო ზნეობისა და გარყვნილობისათვის პასუხი უნდა გაგვცეს იმათ, ვისაც აღუზრდია თვით საზოგადოება, ვინც ხელმძღვანელია საზოგადოებისა, ვინც სწვრთვნის, და უვლის მას, და არა იმათ, ვინც მსხვერპლია სხვისი უცოდინარობისა და მოქმედებისა.

## უცხოეთი

### სერბიის მეფის მილანის სულგრძელება.

წარსული წელიწადი, როგორც თითქმის ყოველი სახელმწიფოსთვის, ისე სერბიისთვისაც მძიმე წელიწადი იყო. ამ პატარა სამფლობელომაც ბევრი ტანჯვა, სისხლის-ღვრა, მღელვარება და ურიგობა გამოიარა ამ წელიწადში. მეფე მილანმაც თავი იჩინა მეტის მეტი სასტიკობით, შეუბრალებლობით და დაუნდობლობით. მან თავის ქვეშევრდომთა ბევრი სისხლი დაანთხია, ბევრი საუკეთესო მამულიშვილი შეიქმნა იმის სასტიკობის მსხვერპლად.

მკითხველებს, უეჭველია, ეხსომებათ, რომ შარშან ერთმა ქალმა, სახელდობ, ელენე მარკოვიჩისამ განიზრახა მილანის მოკვლა. ისიც, რასაკვირველია, ეხსომებათ, რომ ამ ქალის ქმარი მარკოვიჩი სიკვდილით დასაჯა მილანმა და ამ ქალს უნდოდა ქმრის სიკვდილი გადაეხადნა მისთვის. ელენე მარკოვიჩისას თავის განზრახვის შესრულების თანამოზიარედ ჰყვანდა, სხვათა შორის, ერთი კიდევ სხვა ქალი, პიჩანკა. ამ ქალებს სამსჯავრომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, მაგრამ მეფე მილანმა აპატივა ეს სასჯელი და სიკვდილის მაგივრად სამუდამოდ ციხეში დამწყვდევა განუწესა. ამით იმას უნდოდა ხალხისთვის თავის სულგრძელება ეჩვენებინა და ამ გვარად თვალები აება მისთვის... ამ ფიქრში არ მოსტყუვდა მილანი: მართლა და, რა წამსვე გამოქვეყნდა მილანის ამ გვარი გულ-კეთილობა, სერბიელმა გაზეთებმა მაშინათვე დაჰკრეს ნაბათი, უკმიეს საკმეველი თავისი მეფის დიდსულოვნებას და ცათამდის აამაღლეს იგი. მღვდლებმაც ეკლესიებში პარაკლისი გადიხადეს და მილანის ავსტრიელმა მეგობრებმაც ტაში დაუკრეს და «ვაშა, ვაშა!» დასძახეს მის გულ-კეთილობას.

და აი ამ დროს, როდესაც მილანს ამ გვარი სახელი გაუვარდა, ის როგორ იქცევა: ბელგრადის საპყრობილეში ძველადგანვე არის დარჩენილი ესრედ წოდებული, «ქვის ტომრები», რომლებშიაც დამნაშავეთ ჩასვამდენ და ჯურღმულში ჩაუშვებდენ ხოლმე. ამასთანავე ამ საპყრობილის კედლებს დატანებული აქვს დიდრონი თახჩები, რომლებშიაც სუფევს საშინელი წყვდიადი და რომლებშიაც აგრეთვე დამნაშავეთ შესვამდენ ხოლმე. ეს საშინელი ადგილები აქამდინ ყველას დავიწყებული ჰქონდა და ეხლა მეფე მილანს მოაგონდა — ქვის ტომრებში პიჩანკა ჩაასმევინა და წესისამებრ ჯურღმულში ჩააშვებინა, და ერთს კედლის თახჩაშიაც ელენე მარკოვიჩისა შეასმევინა.

ამასობაში გაიარა რამდენიმე ხანმა. ერთს ღამეს ამ ორივე ადგილებიდამ დარაჯს მოესმა საშინელი, შემაძრწუნებელი და გულის საკლავი წივილ-კივილი. შევიდნენ და ორივე ქალი ყელებ-დაჭრილები ნახეს. ამასთანავე საპყრობილიდამ გამოვიდა ხმა, ვითომც ელენე მარკოვიჩისას შეენანებინოს თავის მოქმედება და ამისაგამო ყელი გამოეჭრას. ერთი ვილაც, რომელსაც მარკოვიჩის შენანების მოწმად ასახელებდენ, ისე შეაძრწუნა ამ სისხლის სურათმა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ თავი ჩამოიხრჩო.

პირველი მინისტრი სერბიისა ხრისტიჩი განთქმულია თავის გულწრფელობით, ის რასაც ჰფიქრობს, თავის დღეში არ მალავს. «მე სერბიის ერთს ნახევარს შევმუსრავ და მეორე ნახევარი კრინტს ველარ დასძრავსო», — ამბობს თურმე ხრისტიჩი. ათს კაცს დაახვრეტინებს, ასს, თუ ათასს — იმისთვის სულ ერთია... აი როგორა ჰხატავს ხრისტიჩს ნემიროვიჩ-დანჩენკო, რომელიც ამ ბოლოს დროს სერბიაში ყოფილა და დაწვრილებით შეუტყვია იმის მოქმედება და ხასიათი:... «როდესაც საჭიროა, ხრისტიჩი თავის ბასრის კბილებით სისხლის გუბეს დააყენებს ხოლმე თავის გარშემო. ამ მტარვალ კაცში საკვირველად არის მოთავსებული ყოველივე სისაძაგლე, უკეთურება და ბოროტება! უკანასკნელს აჯანყების დროს სამსჯავროს გადაწყვეტილებით მხოლოდ რამდენიმე ათი კაცი დაუხვრეტიათ, მაგრამ რამდენი სამჯავროს გარდაწყვეტილების გარე დაიხვრიტა—ეს მარტო აგრონომს ხრისტიჩის ეცოდინება».

ხრისტიჩი წინანდელი მთავრის მიხეილ-ის დროს თურმე ცოცხალ კაცებს წვავდა ცეცხლში... ეხლა სერბიის საპყრობილეები სავსენი არიან ტუსაღებით, ზოგი ყაზარმებიც ციხეებად გადაუქცევიათ, მაგრამ მაინც კიდევ ტევა არ არის,—იმოდენი ტუსაღები არიან... ხრისტიჩს შეუდგენია სია მავნე პირთა და ვინც ამ სიაში მოჰყოლია, ყველა ტუსაღად მიჰყავთ...

# ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

3 იანვარს.

პეტერბურგი. 1 იანვარს საზამთრო სასახლეში უმაღლესი გამოსვლა შემდეგი წესით მოხდა: ხელმწიფეს ეცვა საზოგადო-გენერლური მუნდირი, ზედ ანდრიას ჯაჭვი ჰქონდა გაკეთებული და დედოფალთან ერთად მოდიოდა, დედოფალს ეცვა ცის-ფერი ტანისამოსი და მანტია, ყარყუმით შემკული. პეტრეს დარბაზში მათ იმპერატორებით დიდებულებათ მიულოცეს დღესასწაული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა, რომელნიც ხელმწიფემ თვითეულად ღირსი გახადა თავისთან ლაპარაკისა.

შინაურ საქმეთა მინისტრის განკარგულებით გაზეთს «პეტერბურგის ფურცელს» ცალკე ნომრებად გაყიდვა აღეკრძალა.

წუხელ ინტენდანტების საქმის შესახებ განაჩენი დაადგინეს; სამსჯავრომ გადაუწყვიტა: როსიცკის ერთის წლით და ოთხის თვით ციხეში დამწყვდევა, სამსახურიდამ დათხოვნა და ზოგიერთა თვის მიერ მოპოებულ ღირსებათა ჩამორთმევა, გარდა ჩინებისა; სტრატონოვიჩს სამსახურიდამ გამორიცხვა და იმავე ღირსებათა ახდა; ტაბურეს რვა თვით ციხეში ჩასმა და ზოგიერთა სამსახურის უფლებათა შემცირება. რაც ამ საქმისა გამო ხაზინას ზარალი მიეცა, როსიცკის უნდა გადახდეს ადმინისტრატიული წესით; სამჯავროს ხარჯი ნახევარი როსიცკის უნდა გადახდეს და ნახევარიც დანარჩენ დამნაშავეთ; დაბოლოვებითი განაჩენი 16 იანვარს იქნება.

კავკავი. სამხედრო პროგიმნაზიის მოწაფე ტრეგუბოვი წაეჩხუბა თავის ამხანაგს ბორისენკოს და სასიკვდილოდ დასჭრა იგი.

# განცხადებანი


საპონი.

გლიცერინისა, ნუშისა, ვარდისა, კორბოლოვისა, ლატუშისა, ბრინჯისა და სხვა ბევრი ინგლისის მაღაზიაში. იქვე ოდეკალონი და სხვა ტუალეტის კუთვნილებანი 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. (12—7)

Открыта подписка на
„АРХИВЪ РУССКАГО ПИВОВАРЕНІЯ"
Руководство для пивоваренія, соложенія и хмѣлеводства.
Подписная цѣна:
На годъ (24 выпуска)—10 р. с.; на ½ г. (12 вып.)—6 р. с.

Открыта подписка на
„РУССКІЙ МАНУФАКТУРИСТЪ"
спеціальный журналъ для всѣхъ отраслей отечественныхъ мануфактуръ: шерстопрядильныхъ, суконныхъ, бумаготкацкихъ, химическаго дѣла и пр. и пр.
Подписная цѣна:
На годъ (24 вып.)—10 р. с.; на ½ г. (12 вып.)—6 р. с.

Редакція обоихъ журналовъ находится въ Москвѣ, Милютинскій пер., д. Фульда.
*Редакторъ издатель Д. Чехъ.* (3—3)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 ს |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—82)

გრიგუროვის წიგნის მაღაზიაში, ლონდონის გასტინიცის ქვეშე, ისყიდება წმ. ნინა მოციქულის სურათი ოლეოგრაფიული 50 კოპეიკათ, რომლისა ფასი წმ. ნინას საფლავს ეხმარების. (10—10)

მშვენიერი ჩუჩუ-ჩუჩაი ამ წლის ბოლომდის იყიდება რვა აბაზად. ინგლისის მაღაზიაში.

ნუ მისცემთ 2 მან. 20 კაპ. ან 2 მან. 40 კაპ. უარესს ჩაიში სხვაგან.

იქვე იყიდება ხელოვნური ყვავილები მინის ხუფებით, ლამპა, ქუდები, დრატვა, ტრიკო და სხვა მრავალი საქონელი ნახევარ ფასად. (18—9)

რადგან ვსპობთ ვაჭრობას სასმელებით და სხვათა საქონლით, ამისათვის არა ჩვეულებრივის სიიეფით ვიდით: კანიაკს, პორტვეინს, ხერესს, შამპანიის ღვინოს და სიგარებს ლონდონის მაგაზინში კამერციულ ბანკის ქვეშ. (10—7)

იანვრის 15-ს 1884-ს წელს
ბ. ა. მ. მოხევის ბენეფისად
წარმოდგენილი იქნება ქართული დრამატიული დასისგან
წამება
ქეთევან დედოფლისა
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად 7-ს სურათად ა. მოჩხუბარიძისა.

ამ წარმოდგენისთვის მზადდება ისტორიული ტანისამოსები და დეკორაცია.

ბილეთების მსურველთ წინადვე შეუძლიანთ აილონ არწრუნის თეატრის კასაში. (10—2)

მსურს ვიყიდო იაფი ფასის
მამული
კახეთში. მამულს უნდა ჰქონდეს: წყალი, კარგი სანადირო და თბილი, ჯანმრთელი ჰავა. ადრესი: გრანდ-ოტელი, № 16, დილის 10 საათიდამ 12 საათამდე. (3—1)

რკინაზედ ფასების დაკლების გამო, ყოველ გვარი რკინის კრაოტები 10% ნაკლებ ისყიდება. ინგლისის მაღაზიაში უამისოდაც 25% ნაკლებ ვყიდდით სანამ სხვა სავაჭრო სახლებში ჩვენვე მივიღეთ დიდ-ძალი უპირველესი სორტის ჩუჩუ-ჩუ ჩაი, 1-ლი მაკრეფისა. გირვ. 2 მ. წმინდა ჩაი, უქაღალდოთ. ამ ჩაისა სხვა მაღაზიებში ყოველგან ისყიდება 3-მის მანეთიდგან 4-ს მანეთამდინ. რადგანაც ტანისამოსის ვაჭრობას ვსპობთ—ქალების დოლმანები და სხვა ტანისამოსები ისყიდება 20% ნაკლებ. (10—1)

მაზანდა
ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდახელ 1 იანვრიდამ 1 თებერვლამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა — | —1 გირ. | 5 კ. | |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 გ. | 3 კ. | |
| მეორისა — — | —1 გ. | $2^1/_2$ | |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 გ. | 5 კ. | |
| მეორისა — | —1 გ. | $3^1/_2$ | |
| მესამისა — | —1 გ. | 3 კ. | |
| ძროხის-შამის ხორცი: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 გ. | 5 კ. | |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | 4 კ. | |
| მესამისა — | —1 გ. | $3^1/_2$ | |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 გ. | 9 კ. | |
| მეორის — | —1 გ. | 8 კ. | |
| სუკი . . . | —1 გ. | 16 კ. | |
| ცხვრის ხორცი | —1 გ. | 9 კ. | |
| ღორის ღორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 გ. | 6 კ. | |
| მეორის — | —1 გ. | 5 კ. | |

საგლობუსო 

კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი საგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის"—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისათვის კლიონკები, ტახტები, სავარძლები, სარკეები სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შიოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—12)

თბილისის თამბაქოს ფაბრიკანტის ნიკოლოზ ბოზარჯიანცისაგან განცხადება.




რადგანაც ზოგიერთა ფაბრიკანტები აკეთებენ ყალბს სახვევებს, რომელნიც მიემსგავსებიან ჩემ-მიერ გაკეთებულს სახვევებს, ამიტომ თანხმად ჩემის განცხადებისა 24-ს სეკტემბრიდამ 1883 წ. ამასთანავე ვგზავნი ჩემგან მიღებულს ნიშანს 10 შტუკიანი პაპიროსების გასახვევად. ყველა ნაირი თამბაქო და პაპიროზები ჩემის ფაბრიკისა გამოვლენ ამავე ნიშნით.

ვატყობინებ რა საზოგადოებას, უფრო ჩემს მუშტრებს, ვსთხოვ ყიდვის დროს მიაქციონ ყურადღება ნათქვამ ნიშანს პაპიროზებზე. (11—1)





*Доз. ценз. Тифлисъ, 4 Января 1884 г.* ქ. ხელაძის სტამბა (*Типографія Е. Хеладзе*). გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.